განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფსიქოლოგიის
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

საბოლოო დასკვნა

შეფასების თარიღ(ებ)ი 5.11.2021

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი 19.12.2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი კერძო სამარტლის იურიდიული პირი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	400028849
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფსიქოლოგის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ფირცხალავა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნიევრსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლაშა ხოჯანაშვილი ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნიევრსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნიევრსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეკლე ჩხეიძე კავკასიის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრი.
- პროგრამა შედგება რამდენიმე ნაწილისგან, ესენია: საბაზისო სასწავლო კურსების მოდული (24 კრედიტი), უცხო ენის მოდული (36კრედიტი), სპეციალობის სასწავლო კურსების მოდული (160 კრედიტი, მათ შორის, 120 სავალდებულო და 40 არჩევითი კრედიტი), თავისუფალი კომპონენტი (15 კრედიტი), საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი) და სასწავლო პრაქტიკა (10 კრედიტი).
- წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამა ლოგიკურად არის აგებული და თანმიმდევრულია: ზოგად საუნივერსიტეტო და პროფესიის ბაზისურ სავალდებულო საგნებს მოსდევს შედარებით სპეციფიკური კურსები, რომლებიც ამა თუ იმ მიმართულებით დარგში ჩაღრმავების საშუალებას აძლევენ სტუდენტს. ამასთან, შინაარსი და სტრუქტურა, ფაქტობრივად, უზრუნველყოფს პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.
- წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის ჩათვლით, კითხვებს აჩენს აღწერილი სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევადობასთან დაკავშირებით, შესაბამისად, პროგრამის სრულყოფისთვის და გარკვეული კომპონენტების დახვეწის მიზნით, შემუშავდა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

- აღმოსავლეთ ევროპის უნიევრსიტეტში ფსიქოლოგიის პრორგამის - აკრედიტაციის ვიზიტისთვის ექსპერტთა ჯგუფმა მზადება დაიწყო უსდ-ს მიერ მომზადენული მასალებისა და დოკუმენტაციების ჯეროვანი გაცნობით. მიგნებებისა და შეფასებების ურთიერთგაზიარების, ღია კითხვებზე მოსაზრებების გაცვლისა და შეჯერების მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა დაგეგმა მოსამზადებელი შეხვედრა. შეხვედრამ ასევე ხელი შეუწყო ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვიურების პროცესის ეფექტურ წარმართვას ჯგუფის მხრიდან.
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი აღმოსავლეთ ევროპის უნივერისტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასებისთვის განხორციელდა 2021 წლის 5 ნოემბერს- დისტანციურად - zoom ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით.
- ვიზიტი წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფი განსაზღვრული თანმიმდევრობით შეხვდა უნივერსიტეტის რექტორს, ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მიმდინარე სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშორმლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე, დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, ნახა ბიბლიოთეკა, აუდიტორიები და ელექტრონული ბაზა. აკრედიტაციის ვიზიტის ონალინ ფორმატიდან გამომდინარე საბაკალვრო პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსის დათვალიერებაც მოხდა დისტანციურ რეჟიმში.
- შეხვედრებზე ინტერვიუების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ საკითხებს, რომელიც დამატებით განმარტებებსა და დაზუსტებას მოითხოვდა ექსპერტების ხელთ არსებული პროგრამის ყველა დოკუმენტების გაცნობის მიუხედავად. გარდა ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციისა, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის ხელმძღვანელებისგან ასევე გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტები მიგნებების დროს

გაჩენილი საკითხების დასაზუსტებლად. ინტერვიუს პროცესში ყურადღება გამახვილდა პროგრამის მიზნებსა და შინაარსზე, პროგრამის კურუკულმზე, ხარისხის უზრუნველყოფის არსებულ მექანიზმებზე, სილაბუსებზე და ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე.

- სააკრედიტაციო ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯერეს ინტერვიუს შედეგები, რის შემდეგაც, ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ თითოეულ სტანდარტთან დაკავშირებით მიგნებები გააცნო უმაღლესი სასწავლო დაწესებულლების წარმომადგენლებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პირველი სტანდარტი - შესაბამისი

მეორე სტანდარტი - მეტწილად შესაბამისი

მესამე სატანდარტი - შესაბამისი

მეოთხე სტანდარტი - მეტწილად შესაბამისი

მეხუთე სტანდარტი - შესაბამისი

რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია ფორმულირებული მიზნებში გაწერილი ცალკეული პუნქტები ასახული იყოს პროგრამის შედეგებშიც.
2. რეკომედებულია კველვითი უნარების ჩამოყალიბებისათვის და ფსიქოლოგიის მიმართულებების მიხედვით აკადემიური ცოდნის სიღრმისეული მიღებისთვის გაძლიერდეს შესაბამისი კურსების სწავლება(პიროვნების, სოციალური ფსიქოლოგიის და ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდების კურსები)
3. რეკომენდირებულია, პროგრამის სტრუქტურამ ასახოს პროგრამის მიზნის ცალკეული კომპონენტები.
4. რეკომედებულია კველვითი უნარების ჩამოყალიბებისათვის და ფსიქოლოგიის მიმართულებების მიხედვით აკადემიური ცოდნის სიღრმისეული მიღებისთვის გაძლიერდეს შესაბამისი კურსების სწავლება(პიროვნების, სოციალური ფსიქოლოგიის და ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდების კურსები
5. რეკომენდებულია სავალდებულო საგნები ქმნიდეს საფუძველს არჩევითი საგნებისთვის, კერძოდ, ფსიქოდიაგნოსტიკა უფრო ძირითადი კურსია ვიდრე კლინიკური ფსიქოლოგიის და ფსიქოკონსულტირების საფუძვლები, რომლებიც შესაძლებელია გადავიდეს არჩევით საგნებში.
6. **პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ზოგიერთი სასწავლო კურსი მოითხოვს ჩაღრმავებას და თემატიკის გაფართოვებას, შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაციები ცალკეულ კურსებთან მიმართებაში:**

- რეკომედებულია ექსპერიმეტული ფსიქოლოგიის კურსის უფრო ღრმად შესწავალა , ექსპერიმენტული ფსიქოლოგია 1 და 2 სახით;
- სოციალური ფსიქოლოგიის, როგორც საფუძვლის, უფრო ღრმად შესწავლა სოციალური ფსიქოლია 1 და 2 სახით;
- ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები, რეკომენდებულია წარმოდგენილი იყოს ორ სემესტრიანი კურსით (თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები).

სასწავლო მასალა. რეკომენდებულია განახლდეს და გამოყენებულ იქნას თანამედროვე ლიტერატურა. განვიხილავთ მხოლოდ - პროგრამაში მითითებულ სავალდებულო საგნებს:

1. სასწავლო კურსი ექპერიმენტულ ფსიქოლოგიაში შეივსოს ახალი სასწავლო თანამდროვე კვლევებზე დაფუძნებული მასალით (სამხელძღვანელო/რიდერი) ;
2. კლინიკურ ფსიქოლოგიაში განახლდეს სახელმძღვანელოები, თუნდაც ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოცემული. სავალდებულო ლიტერატურაში წარმოდგენილია 1995 წელს და 1999 წელს გამოცემული წიგნების რიდერები;
3. ფსიქოდიაგნოსტიკის ძირითად ლიტერატურაში დასახელდეს რეალური რესურსი საიდანაც სტუდენტი ფსიქოდიაგნოასტიკის საფუძვლებს შეიწავლის. სასწავლო მასალა, რომელიც მითითებულია ძირითად სახელმძღვანელოდ (რომლის ერთერთი თანაავტორიც ამ კომისიის თავმჯდომარე გახლავთ)არის თვითაღწერის სკალები, რომლიც მხოლოდ ნაწილია დიგონოსტირებისა და საკითხების შესწავლას,რომელიც სილაბუსშია შესული ვერ დააკამყოფილებს. რაც შეეხება ჩომახიძის რიდერს, უნდა იყოს მითითებული რას სახლმძღვანელოზე, ან რა მასალებზე(სტატიები) დაყრდნობით არის მოზადებული;
4. კოგნიტური ფსიქოლოგიამ რომელიც 2 სემსტრის განმავლობაშია გაწერილი ისწავლება მხოლოდ ერთი წიგნით, მისასალამებელია ქართველი ავტორების წიგნების გამოყენება, მაგრამ რატომ არის გამოყენებული მხოლოდ 1 ავტორი, როცა არსებობს სხვა ქართველი ავტორებიც, მაგალითად - დ. ფარჯანაძე "მეხსიერების ფსიქოლოგია"; მ.წერეთელი " სალექციო კურსი კოგნიტურ ფსიქოლოგიაში" https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_psychology/Cogn_Ps%201_%20Reader%20_Mzia%20Tsereteli.pdf კოგნიტური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიური ცოდნის საფუძველია, მისი სწავლა უნდა ხდებოდეს კლასიკური სახელმძღვანელობით/ ან მათ საფუძველზე აგებული რიდერებით

7. რეკომენდებულია სილაბუსებში სავალდებულო და დამატებითი მასალა მითებული იყოს წყაროების ციტირებისა და მოტანის დადგენილ წესს (APA სტანდარტი სოციალურ მეცნიერებებში,).

8. რეკომენდებულია გაიწეროს ცალკეულ სასაწავლო კურსებში სწავლა-სწავლების მეთოდების დისციპლინის სპეციფიკიდან გამომიდნარე,

9. რეკომენდებულია, ფსიქოლოგიისათვის საჭირო ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი დისციპლინებს(ფსიქოლოგიის საფუძვლები, განვითარების ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია და ა.შ) სრულად კურირებდეს (ან ნაწილობრივ სალექციო-სასემინარო საათების დაყოფის გზით) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პერები;

10. რეკომენდებულია, აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ***ჩართული*** უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის **„ლაბორატორია Z-ის"** აქტიობებში.

11. რეკომენდირებულია რომ პროგრამის აკადემიურ/აფილირებული პერსონალი წარმოდგენილი იყოს და სავალდებულო კურსების მართვის პროცესში

12. რეკომედებულია პროგრამაში ჩართულ აკადემიური პერსონალს ჰქონდეს მეტად დასაბუთებადი, კვლევითი გამოცდილება და პუბლიკაციები როგორც ადგილობრივ ისე უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია, ჩატარებული "ბაზრის კვლევის" შედეგები აისახოს, პროგრამის მიზნებზე და შედეგებზე;
2. სასურველია დეტალურად გაიწეროს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა
3. განისაზღვროს კურსის სპეციფიკის მიხედვით შეფასებები ცალკეულ აქტიობის შესაბამისად.(მაგალითად რეფერატის შემთხვევაში სტურტურულად უნდა აღიწეროს შეფასება)
4. სასურველია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აფილირებული პერსონალის პუბლიკაციების რაოდენობისა და ხარისხის ზრდას, იმ დროს როდესაც სასწავლო დაწესებულების ბაზაზე არის კვლევითი აქტიობის განხორციელების კარგი საშუალება.
5. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტების შემდგომ პროგრამის განმახორციელებლებმა შეადარონ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული საგანმანათლებლო პროგრამები და უცხოური ანალოგები საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში საკუთარი პროგრამით პოზიციონირების მიზნით;
6. სასურველია თუ კი პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ კიდევ უფრო გააქტიურდება კომუნიკაცია დამსაქმებელებთან პროგრამის განვითარების პროცესებში

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკად შესაძლოა ჩაითვალოს, უნივერსიტეტის ბაზაზე, სამეცნიერო-კვლევითი **"ლაბორატორია z"** ის არსებობა, რომელიც აღჭურვილია ექპსერიმენტული კვლევების ჩასატარებლად საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც მნიშველოვნად ხელს შეუწყობს, ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტებს ექპსერიმენტული კვლევისთვის საჭირო უნარების განვითარებას.

ასევე, საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება განვიხილოთ კურიკულუმში არსებული ორი კურსი. კონკრეტულად კი: **პროფესიული ეთიკა** და **ფსიქოლოგიის ბიოლოგიური საფუძველი.**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებია — აკადემიური სტანდარტების შესაბამისად კომპეტენტური ფსიქოლოგის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება ფსიქოლოგიის მეცნიერების ძირითად სფეროებში არსებული თანამედროვე ცოდნითა და პრაქტიკაში მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით და ასევე, უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის საჭირო კომპეტენციებით — შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, რაც გულისხმობს სტუდენტების მომზადებას კონკრეტული შრომის ბაზრის გამოწვევებისა და თანამედროვე გლობალური საზოგადოების სრულფასოვანი წევრობისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ასევე აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან შეხვედრამ აჩვენა, რომ პროგრამის მიზნები დაწესებულების მისიის კონტექსტშია გააზრებული და ფორმულირებული. თუმცა წარმოდგენილი პროგრამის მიზნებში თითქმის არ არის ასახული მათ მიერ ჩატარებული "ბაზრის კვლევის" შედეგები, კერძოდ კი ინტერვიუ მკვლევარებთან და უშუალოდ კვლევის დოკუმენტი აჩვენებს, რომ დასაქმების ბაზარზე, მოთხოვნა "სკოლის ფსიქოლოგებზე" მეტია,რაც კარგი იქნებოდა ასახულიყო პროგრამის მიზნებზე და შედეგებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● აღმოსავლეთ უნივერსიტეტის მისია; ● უნივერსიტეტეის განვითარების სტრატეგიული გეგმა; ● ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; ● თვითშეფასების ანგარიში; ● შრომის ბაზრის კვლევა ● პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● სასურველია, ჩატარებული "ბაზრის კვლევის" შედეგები აისახოს, პროგრამის მიზნებზე და შედეგებზე;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილია ყველა ის თეორიული ცოდნა, უნარი თუ პასუხისმგებლობა, რომელიც პროგრამამ უნდა მისცეს კურსდამთავრებულს.

ახალი პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში აღწერის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასება სასწავლო კურსის სილაბუსებშია გაწერილი, რომლის საფუძელზეც დგინდება მიაღწია თუ არა სტუდენტმა სწავლის შედეგს.

არაპირდაპირი შეფასება ხორციელდება სტუდენტების, დამსაქმებლების და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების შეფასების და ანალიზის საფუძველზე.

სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრის, შეგროვების და ანალიზის წესი გაწერილია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელ დოკუმენტებში

თუმცა კითხვები ჩნდება პროგრამის მიზანის ცალკეული შედეგის რეალისტურობასა და მიღწევასთან დაკავშირებით. კერძოდ პირველ მიზნის შედეგში ვხვდებით - *"აღწერს ფსიქოლოგიის მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციებს, ფსიქოლოგიური დარგების (განვითარების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია, ექსპერიმენტური ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია და სხვა) სპეციფიკას, ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების ფილოსოფიურ საფუძვლებს . . ."*

პროგრამაში ამ შედეგის მისაღწევად, წარმოდგენილი ფსიქოლოგიის მიმართულებები კერძოდ სოციალური, პიროვნების და ფსიქოლოგია და კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში -კურსები, კურიკულუმში წარმოდგენილია თითო სემესტრით,რაც ექპესტების აზრით ნაკლებად რელისტურს ხდის შედეგის მიღწევას.

საერთაშორისო და ადგილობრივი "საუკეთესო გამოცდილება" აჩვენებს, რომ ამ კურსების სწავლება, საბაკალავრო სწავლების პირველ დონეზე, რეკომენდირებულია უფრო სიღრმისეულა**დ.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აღმოსავლეთ უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტეის განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- შრომის ბაზრის კვლევა
- პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია ფორმულირებული მიზნებში გაწერილი ცალკეული პუნქტები ასახული იყოს პროგრამის შედეგებშიც. ○ რეკომედებულია კველვითი უნარების ჩამოყალიბებისათვის და ფსიქოლოგიის მიმართულებების მიხედვით აკადემიური ცოდნის სიღრმისეული მიღებისთვის გაძლიერდეს შესაბამისი კურსების სწავლება(პიროვნების, სოციალური ფსიქოლოგიის და ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდების კურსები, დეტალურად იხილეთ კომპონენტი 2.3);
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელსაც აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩაბარული აქვს ინგლისური ენა. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით . პროგრამის სტუდენტმა გარე მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაშვებას, ისინი ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დაიშვებიან კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ამრიგად, წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირების პროგრამაში ჩართვას, რაც სწავლის შედეგების მიღწევის მიზანს ემსახურება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; ● პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ● უნივერსიტეტის ვებგვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ა შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს, შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, ასევე პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებულ კვლევის შედეგებს.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამაში, ზოგად საუნივერსიტეტო და პროფესიის ბაზისურ სავალდებულო საგნებს მოსდევს შედარებით სპეციფიკური კურსები, რომლებიც ამა თუ იმ მიმართულებით დარგში ჩაღრმავების საშუალებას აძლევენ სტუდენტს.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო სასწავლო პროგრამა შედგება საბაზისო სასწავლო კურსების,, ინგლისური ენის კომპონენტის , სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების,, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების, პრაქტიკული კომპონენტის, სასწავლო-კვლევითი კომპონენტის და თავისუფალი კომპონენტისაგან.

უნდა აღინიშნოს,, ის რომ სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში ჩამოთვალში, სპეციალობის საგნები, რომლებიც ძირეულია და პროგრამის მიზნების მისაღწევად ძალიან მნიშველოვანი, კერძოდ; სოციალური ფსიქლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია, კვლევის მეთოდები,, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია კურიკულუმში ერთი სემეტრით არის განსაზღვრული.

პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ პროგრამის ფოკუსი ექსპერიმენტზეა და არსებული რესურსების, კერძოდ უნივერსიტეტში შექმნილი ექსპერიმენტული ლაბორატორიის გამოყენებაზეა დაფუძნებული,

პროგრამის კურიკულუმში კი სწორედ კვლევითი კომპონენტი არასკამარისად არის წარმოდგენილი (კვლევის მეთოდები, ექსპერიმენტი, მონაცემთა დამუშავება და ა.შ) სწორედ ეს აჩენს კითხვებს თუ რამდენად უზრუნველყოფს პროგრამა, დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

შესაბამისად, ექსპერტების აზრით, პროგრამის მიზანი "ლაბორატორია Z" ხელშეწყობით განავითაროს სტუდენტების ცოდნა კვლევითი მიმართულებით ფსიქოლოგიაში - პროგრამაში კვლევითი კომპონენტის გაძლიერების გარეშე მიღწეული ვერ იქნება და პროგრამა გათვლილ შედეგზე ვერ გავა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
- წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან, გასაუბრება;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, პროგრამის სტრუქტურამ ასახოს პროგრამის მიზნის ცალკეული კომპონენტები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კურიკულუმი ლიმიტირებულია, მიუხედავად დეკლარირებული ამბიციისა გახდეს "ექსპერიმენტალური კვლევების ჰაბი", რისთვისაც შექმნილია პირობები კვლევითი ლაბორატორიის სახით, პროგრამას აქვს ცალკეული გამოწვევები;

პროგრამაში ლოგიკურად წარმოდგენილია ფსიქოლოგიის აკადმიური ცოდნის თეორიული საფუძველების მომცემი კურსები.

ფსიოქლოგიის საფუძვლები 1 და 2

კოგნიტური ფსიქოლოგია 1 და 2

განვითარების ფსიქოლოგია 1 და 2.

თუმცა ისეთი კურსები, როგორიცაა სოციალური ფსიქოლოგია და პიროვნების ფსიქოლოგია, რომელიც კურიკულუმში წარმოდგენილია პიროვნების თეორიის სახით, წარმოადგენს ფსიქოლოგიური ცოდნის ბაზისს, სამწუხაროდ პროგრამაში, თითო სემესტრით გვხვდება. შესაძლებელი ის ერთ სემტრშიც იყოს წარმოდგენილი, მაგრამ სიღმისეულად.

ასევე კურიკულუმში მოისუსტებს კვლევითი კომპონენტი, კონკრეტულად ფსიქოლოგიის კველვის მეთდოებიდა ექპსერიმენტული ფსიქოლოგია.

აუცილებელია ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის კომპონენტის გაძლიერება. აუცილებელია გადაიხედოს სწავლის რესურსები (ლიტერატურა), კერძოდ გამოყენებულ იქნას თანამედროვე ლიტერატურა და უახლესი კვლევები.

მაგალითად კლინიკურ ფსიქოლოგიაში, სავალდებულო ლიტერატურაში წარმოდგენილია 1995 წელს და 1999 წელს გამოცემული წიგნების რიდერები; მაშინ როცა არსებობს უახლესი ლიტერატურა, (მაგალითისთვის "APA Handbook of Clinical Psychology" Available electronically for institutions. View pricing and ordering information. Editors-in-Chief: John C. Norcross, PhD, ABPP, Gary R. VandenBos, PhD, ABPP, and Donald K. Freedheim, PhDCopyright: 2016)

ასევე ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდებში, თვისებრივი კვლევის მეთოდების სწავლების კომპონენტის ნაკლებობა სერიოზული გამოწვევას წარმოადგენს პროგრამისთვის.

აუცილებელია ფსიქოდიაგნოსტიკის ძირითად ლიტერატურაში დასახელდეს რეალური რესურსი. საიდანაც სტუდენტი ფსიქოდიაგნოასტიკის საფუძვლებს შეინავლის. სასწავლო მასალა, რომელიც მითითებულია ძირითად სახელმძღვანელოდ (რომლის ერთერთი თანაავტორიც ამ კომისიის თავმჯდომარე გახლავთ) არის თვითაღწერის სკალები, რომელიც მხოლოდ ნაწილია დიაგონოსტირებისა და იმ საკითხების შესწავლას, რომელიც სილაბუსშია შესული ვერ დააკამყოფილებს.

რაც შეეხება ერთერი პროფესორის მიერ შექმნილ რიდერს, უნდა იყოს მითითებული რა სახელმძღვანელოზე, ან რა მასალებზე (სტატიები) დაყრდნობით არის რიდერი მომზადებული;

საკითხავი მასალის მითითება. რიგი კურსების სილაბუსებში არასრულად არის მითითებული ესა თუ ის გამოცემა, რაც, ერთი მხრივ, პრობლემას შეიძლება უქმნიდეს სტუდენტს წყაროს მოძებნის შემთხვევაში და, მეორე მხრივ, არღვევს წყაროების ციტირებისა და მოტანის დადგენილ წესს (APA (ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის) სტანდარტი სოციალურ მეცნიერებებში, მაგალითად), რაც არასახარბიელო მაგალითს აძლევს სტუდენტებს, რომლებიც, თავის მხრივ, აკადემიური წერისა და სხვა კურსების ფარგლებში უნდა ითვისებდნენ, იმტკიცებდნენ და იცავდნენ წერის სტანდარტებს.

იგულისხმება, რომ როცა პროფესორის მიერ ციტირებულია წყარო, ეს უნდა იყოს წყარო მოქმედი, მისაღებია ვებ გვერდიც, მაგრამ ამ ვებგვერდზე რისი ნახვა არის შესაძლებელი ციტირების დადგენილი წესით უნდა იყოს მითითებული და არა მხოლოდ "ლინკები". (მაგალითად "კლინიკური ფსიქოლოგიის" სილაბუსში, დამატებით ლიტერატურად ვხვდებით შემდეგ ფორმატს: www.psychologytoday.com, www.uncommon-knowledge.co.uk www.twirpx.com, "პიროვნების თეორიების" სილაბუსში: www.psychologicalscience.org, www.psychologytoday.com, www.apa.org, "პროფესიული ეთიკის" სილაბუსში:https://www.apa.org/ethics/code,http://www.psy.msu.ru/science/public/psy_prof/ethics.html, არტ-თერაპიის სილაბუსში:www.arttherapy.org, www.psychologytoday.com, www.koob.ru.)აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია ლიტერატურის ჩამონათვალის გადახედვა ზოგიერთ სილაბუსში და გამართულად, სრული ინფორმაციის მოწოდებით მათი წარმოდგენა. მნიშვნელოვანია თანამედროვე ლიტერატურა. ასევე **ს**ახლემძღვანელოები, წარმოდგენილ ლიტერატურაში უნდა მიეთითოს აპას სტანდარტით და არა ლინკებით.

სასწავლო კურსის - „საბაკალავრო ნაშრომის" ფარგლებში სტუდენტს უწევს ემპირიული კვლევის ჩატარება, ეს კი მიღებული თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების ერთობლივ გამოყენებას გულისხმობს, რაც ხელმძღვანელის მითითებების პირობებში, კვლევის წარმოებისთვის საჭირო ბაზისური უნარ-ჩვევების განმტკიცებას უწყობს ხელს.

ფსიქოლოგიის პროგრამისთვის აკადემიური და მოწვეული, კვალიფიკაციით ფსიქოლოგი, აკადემიური ხარისხით, გამოწვევას წარმოადგენს, რადგანაც წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, აფილირებული პერსონალიდან არცერთს არ აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი, ასევე დოკუმენტებში მწირად არის წარმოდგენილი აფილირებული პერსონალის შესაბამისი სამეცნიერო პუბლიკაციები. წარმოდგენილი საკითხი, კითხვებს აჩენს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებასთან დაკავშირებით. საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის 3.1 ში ვკითხულობთ:*"ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ- პროფესორი) ან მოწვეული სპეციალისტი, რომელსაც აქვს ფსიქოლოგიის სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები."*

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან, დამსაქმებელთან გასაუბრება;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სავალდებულო საგნები ქმნიდეს საფუძველს არჩევითი საგნებისთვის, კერძოდ, ფსიქოდიაგნოსტიკა უფრო ძირითადი კურსია ვიდრე კლინიკური ფსიქოლოგიის და ფსიქოკონსულტირების საფუძვლები, რომლებიც შესაძლებელია გადავიდეს არჩევით საგნებში.
2. **პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ზოგიერთი სასწავლო კურსი მოითხოვს ჩაღრმავებას და თემატიკის გაფართოვებას, შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაციები ცალკეულ კურსებთან მიმართებაში:**
    1. რეკომედებულია ექპერიმეტული ფსიქოლოგიის კურსის უფრო ღრმად შესწავალა, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია 1 და 2 სახით;
    2. სოციალური ფსიქოლოგიის, როგორც საფუძვლის უფრო ღრმად შესწავლა სოციალური ფსიქოლია 1 და 2 სახით;
    3. ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები, რეკომენდებულია წარმოდგენილი იყოს ორ სემესტრიანი კურსით (თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები).

სასწავლო მასალა. რეკომენდებულია განახლდეს და გამოყენებულ იქნას თანამედროვე ლიტერატურა. განვიხილავთ მხოლოდ - პროგრამაში მითითებულ სავალდებულო საგნებს:

1. სასწავლო კურსი ექპერიმენტულ ფსიქოლოგიაში შეივსოს ახალი სასწავლო თანამდროვე კვლევებზე დაფუძნებული მასალით (სამხელძღვანელო/რიდერი);
2. კლინიკურ ფსიქოლოგიაში განახლდეს სახელმძღვანელოები, თუნდაც ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოცემული. სავალდებულო ლიტერატურაში წარმოდგენილია 1995 წელს და 1999 წელს გამოცემული წიგნების რიდერები;
3. ფსიქოდიაგნოსტიკის ძირითად ლიტერატურაში დასახელდეს რეალური რესურსი საიდანაც სტუდენტი ფსიქოდიაგნოასტიკის საფუძვლებს შეიწავლის. სასწავლო მასალა, რომელიც მითითებულია ძირითად სახელმძღვანელოდ (რომლის ერთერთი თანაავტორიც ამ კომისიის თავმჯდომარე გახლავთ) არის თვითაღწერის სკალები, რომელიც მხოლოდ ნაწილია დიაგონოსტირებისა და საკითხების შესწავლას, რომელიც სილაბუსშია შესული ვერ დააკამყოფილებს. რაც შეეხება ერთერთი პროფესორის რიდერს, უნდა იყოს მითითებული რას სახლმძღვანელოზე, ან რა მასალებზე (სტატიები) დაყრდნობით არის მომზადებული;
4. კოგნიტური ფსიქოლოგია რომელიც 2 სემსტრის განმავლობაშია გაწერილი ისწავლება მხოლოდ ერთი წიგნით, მისასალამებელია ქართველი ავტორების წიგნების გამოყენება, მაგრამ რატომ არის გამოყენებული მხოლოდ 1 ავტორი, როცა არსებობს სხვა ქართველი ავტორებიც, მაგალითად - დ. ფარჯანაძე "მეხსიერების ფსიქოლოგია"; მ.წერეთელი " სალექციო კურსი კოგნიტურ ფსიქოლოგიაში" https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_psychology/Cogn_Ps%201_%20Reader%20_Mzia%20Tsereteli.pdf კოგნიტური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიური ცოდნის საფუძველია, მისი სწავლა უნდა ხდებოდეს კლასიკური სახელმძღვანელობით/ ან მათ საფუძველზე აგებული რიდერებით.

5. რეკომენდებულია სილაბუსებში სავალდებულო და დამატებითი მასალა მითებული იყოს წყაროების ციტირებისა და მოტანის დადგენილ წესს (APA სტანდარტი სოციალურ მეცნიერებებში,).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმში დამატებულია ორი საგანი/კურსი შეიძალება ჩაითვალოს როგორც საუკეთესო პრაქტიკა:

<u>პროფესიული ეთიკა</u>, რომელიც უდაოდ უნდა ითქვას, რომ არის საუკეთესო პრაქტიკა ფსიქოლოგიის საბაკალავრო დონეზე კვლევის, კონსულტირების ეთიკური პრინციპების სწავლება და ***<u>ფსიქოლოგიის ბიოლოგიური</u>*** საფუძველი.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის მიზნებსა და სწავლების შედგებში დეკლარირებულია, რომ პროგრამა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიის პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო ბაზისურ და კვლევითი აქტიოვობის განხორციელებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს. პროგრამაში წარმოდგენილია კვლევითი და პრაქტიკული კომპონენეტები 10-10 კრედიტის სახით.

1. კვლევით კომპონენტს წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომი, რომლის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია - სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომით წარმოადგენს მის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.
2. პრაქტიკული კომპონენტის მიზანია სტუდენტებისათვის პრაქტიკაზე დაფუძნებული განათლების მიცემა. როგორც პროგრამაშია მოცემული პრაქტიკული კომპონენტი სრულდება 2 სხვადასხვა კლინიკაში - კვლევის ბაზისური უნარების განმავითარებელი კლინიკისა და სასწავლო პრაქტიკის - ფსიქოლოგიის კლინიკის ფორმატით. ფსიქოლოგიის კლინიკა შეიძლება განხორციელდეს სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში, რეაბილიტაციისა და სოციალური ადაპტაციის ცენტრებში, სოციალური მომსახურეობის სააგენტოში, კვლევით ორგანიზაციებში, ადამიანური რესურსების მართვის

სტრუქტურებში, PR ინდუსტრიაში და სხვა.
მტკიცებულებები/ ინდიკატორები ● **ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა** ● **მემორანდუმები დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან** ● **უნივერსიტეტის ვებგვერდი** ● პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან, დამსაქმებელთან გასაუბრება;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და სხვა თანდართული დოკუმენტების შესწავლის შედეგად, ისევე, როგორც აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუებით აკადემიურ პროცესში ჩართულ სხვადასხვა პერსონასთან, ირკვევა, რომ თითოეული სასწავლო კურსის სწავლების მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. ასევე, გარკვეულწილად შეესაბამება კურსის შინაარსს და მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევაზე. სწავლება-სწავლისას გამოყენებული შეფასების სისტემაში, ჩაშლილია შემადგენელი კომპონენტები. თუმცა დასახვეწია მათი კურსების შინაარსისადმი და სწავლის შედეგებისადმი შესაბამისობა. ცალკეულ კურსებში კერძოდ: კვლევის მეთოდები; ექსპერიმენტულ ფსიქოლოგია; მონაცემთა დამუშავება; სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებში; სწავლების მეთოდად

მითითებულია ლექცია სემინარი, მაშინ როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი დისციპლინების მთავრი კომპონენტი პრაქტიკული მუშაობაა. სავალდებულო საგნების ჩამონათვალში მხოლოდ ფსიქოდიგნოსტიკას აქვს მითითებული ლექცია - სემინარებთან ერთად პრაქტიკული მუშაობა, რაც რეალისტურს ხდის სილაბუსით გათვალისინებული მიზნების შედეგზე გასვლას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხ. დანართი 1); ● სასწავლო კურსების სილაბუსები; ● ინტერიუები ალადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
რეკომენდაციები: ● რეკომენდებულია გაიწეროს ცალკეულ სასაწავლო კურსებში სწავლა-სწავლების მეთოდები დისციპლინის სპეციფიკიდან გამომიდნარე,
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამასა და ცალკეულ სილაბუსებში წარმოდგენილი ცოდნის შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია შეფასების სისტემის სანდოობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის უზრუნველსაყოფად და დეკლარირებულია, რომ ცვალებადობს კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. შეფასების სისტემის გამჭვირვალეობის ერთ-ერთი უზრუნველმყოფი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა წარმოადგენს, სადაც სტუდენტი (და ყველა, ვისაც წვდომა აქვს შესაბამის ინფორმაციაზე) მუდმივად ხედავს საკუთარ წარსულ და მიმდინარე შეფასებას. როგორც პროგრამაში, ისე -- ცალკეულ სილაბუსებში წარმოდგენილი დეტალიზებული შეფასების სისტემა რამდენიმე გაზომვადი კრიტერიუმისგან შედგება და გამჭვირვალეა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას შედეგების, სუსტი და ძლიერი მხარეების,განვითარების

მიმართულების დასახვის შესაძლებლობების შესახებ და უზრუნველყოფს უკუკავშირს, რაც, თავის მხრივ, პროგრამის მდგენელების შედეგებზე ორიენტირებულობის საზომს წარმოადგენს.

თითოეული სილაბუსი მოიცავს დეტალიზებულ შეფასების სისტემას -- შეფასების მდგენელების,

ქულების განაწილებისა და ქულის მინიჭების კრიტერიუმების აღწერით. შეფასება შედგება ისეთი კომპონენტებისგან, როგორიცაა:

შუალედური შეფასება (70 ქულა) : ზეპირი გამოკითხვა - წერითი გამოკითხვა(რომელზეც ნაწილდება 30 ქულა) შუალედური წერითი გამოცდა (30) ინდივიდულუარი საშინაო დავალება (10) დასკვნითი წერითი გამოცდა (30 ქულა)

მიუხედავად იმისა, რომ როგორც პროგრამის აღწერაში, ისე -- თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ თითოეული სასწავლო აღნიშნული კომპონენტების კურსისთვის სპეციფიკური კომბინაცია დგება, პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული კურსების სილაბუსებში იდენტური შეფასების სტრუქტურაა წარმოდგენილი.

ასე მაგალითად, იდენტურად არის გაწერილი შეფასების კომპონენტი - ინდივიდუალური საშინაო დავალება 10 ქულით, ყველა სავალდებულო კურსში, მიუხედავად იმისა პრაქტიკულია ეს კურსი (მაგალითად; სტატისიკა სოც მეციერებასი, კვლევის მეთდოები, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია) თუ თეორიული(ფსიქოლოგიის საფუძვლები, განვითარების საფუძვლები). რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ასევე კითხვებს აჩენს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა.(კარგი იქნება ჩაშლილი იყოს რა კომპონენტში რა ქულა იწერება)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხ. დანართი 1)
- სილაბუსები;
- აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა: EEU-EL;
- ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი [Https://eeu.edu.ge/eeu/იურიდიული-ცნობარი/]

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ;

- სასურველია დეტალურად გაიწეროს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა
- განისაზღვროს კურსის სპეციფიკის მიხედვით შეფასებები ცალკეულ აქტივობის შესაბამისად.(მაგალითად რეფერატის შემთხვევაში სტრუტურულად უნდა აღიწეროს შეფასება)

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პირველკურსელ სტუდენტებს უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც ისინი იღებენ ყველა საჭირო ინფორმაციას სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. შეხვედრა მოიცავს წესებსა და რეგულაციების, უფლებებისა და მოვალეობების, საუნივერსიტეტო სერვისების გაცნობას. ასევე, შეხვედრის დროს, სტუდენტები ავსებენ ინტერესებისა და მოლოდინების კითხვარს, რომელთა ანგარიშებიც ეგზავნება უნივერსიტეტის პერსონალს შემდგომი რეაგირების მიზნით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო ბაზა სტუდენტებისთვის - EEU-EL, რომელშიც ატვირთულია ყველანაირი ინფორმაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. მათ შორის სილაბუსები, სალექციო მასალა, სიახლეები, ვაკანსიები და ა.შ. სტუდენტების თქმით, ეს ბაზა

ძალიან მოსახერხებელი და გამართულია.

ამ ბაზის საშუალებით, სტუდენტებს საშუალება აქვთ ეკონტაქტონ ადმინისტრაციას და აკადემიურ პერსონალს. სტუდენტებს აქვთ პირადი ფოსტა, წევრიანდებიან სოციალურ ქსელებში შექმნილ ოფიციალურ ჯგუფებში, აქვთ საშუალება დაუკავშირდნენ უნივერსიტეტის ცხელ ხაზს და ისარგებლონ საიტზე არსებული Online Chat-ით, ასევე, მიიღონ კონსულტაციები Microsoft Teams-ის საშუალებით, რაც ამარტივებს მათთვის საჭირო პროცედურების გავლას და ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიღებას სასწავლო პროცესში.

უნივერსიტეტი ზრუნავს სტუდენტების დასაქმებაზე, რაზეც პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტური სერვისების განყოფილება. ტარდება დასაქმების ფორუმები, სტუდენტებს ეგზავნებათ ინფორმაცია სტაჟირებებისა და ვაკანსიების თაობაზე როგორც მეილის ისე SMS-ის სახით.

უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს შიდა სტაჟირების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, სტუდენტები სტაჟირებას გადიან უნივერსიტეტში, მათი საქმიანობის შესაბამის დეპარტამენტებში.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური კლუბი და იმართება სხვადასხვა ტიპის საჯარო ლექციები, ტურნირები, სპორტული აქტივობები. ამ პროცესებში ჩართულია თვითმმართველობის გუნდი.

სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს იღებენ კითხვარს, რომლის საშუალებითაც აფასებენ კურსთან დაკავშირებულ თითოეულ კომპონენტს, რასაც სტუდენტების თქმით, მოჰყვება რეაგირება ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის მხრიდან.

უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართება საერთაშორისო, ადგილობრივი სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციები რასთან დაკავშირებითაც სტუდენტები იღებენ ინფორმაციას როგორც ელექტრონულად, ისე უნივერსიტეტის პერსონალის დახმარებით.

უნივერსიტეტი 50-ზე მეტი საერთაშორისო უნივერსიტეტის პარტნიორი და ორგანიზაციის წევრია. ჩამონათვალი განთავსებულია უნივერსიტეტის Web გვერდზე. შესაბამისად, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ ჩაერთონ სხვადასხვა პროექტებში და ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით, რასთან დაკავშირებითაც იღებენ ამომწურავ ინფორმაციას უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი, რაც გულისხმობს სტუდენტების ინიციატივების და პროექტების მატერიალურ მხარდაჭერას. ამ შესაძლებლობასთან დაკავშირებით, სტუდენტები იღებენ სათანადო ინფორმაციას. კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სტუდენტები აქტიურად იყენებენ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ შესაძლებლობებს.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისი, რომელიც ხელმისაწვდომია თითოეული სტუდენტისთვის.

2019 წელს, უნივერსიტეტში შეიქმნა ლაბორატორია Z, რომელიც აღჭურვილია

მაღალ-ტექნოლოგიური ქცევისა და ნეირო-მარკეტინგის შემსწავლელი აპარატურით. ამ დროისათვის განხორციელებულია 10-მდე კვლევითი პროექტი და იგეგმება ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის მომავალი სტუდენტების აქტიური ჩართვა ლაბორატორიის კვლევით პროექტებში. გასათვალისწინებელია, რომ გასაუბრება მიმდინარეობდა სამართლის პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და მათი მხრიდან ჩანს კმაყოფილება ზოგადად უნივერსიტეტის, სტუდენტური სერვისების, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის და ელექტრონული ბაზების მიმართ. მათი თქმით, ელექტრონულ ბაზაში ძალიან მარტივად და გასაგებად არის მოცემული ყველანაირი ინფორმაცია, მათ შორის შეფასების სისტემა და ქულის გასაჩივრების მექანიზმი. ასევე, ლექრორებიც და ადმინისტრაციული პერსონალი ყოველთვის მზად არის მათ დასახმარებლად საჭიროების შემთხვევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● თვითშეფასების ანგარიში ● ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები. ● უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://eeu.edu.ge ● ელექტრონული პლატფორმები ● მემორანდუმები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არ აქვს
მტკიცებულებები/ინდიკატორებ
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილ პროგრამას ახორციელებს, ***ფსიქოლოგიის მიმართულებით***, 7 აფილირებული (მათ შორის, 1 ასოცირებული პროფესორი და 6 ასისტენტ-პროფესორი) და 6 არააფილირებული (მათ შორის, 3 პროფესორი და 2 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი). პროგრამის გაცნობის საფუძველზე ჩანს, რომ აფილირებული პროფესურას აქვს ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის სტატუსი, როდესაც არააფილირებული აკადემიური პერსონალი გვხვდება პროფესორის სტატუსით (3 პროფესორი). გარდა დასახელებული აკადემიური პერსონალისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული არის 16 მოწვეული პედაგოგი, რომელთაც აქვთ სათანადო პრაქტიკული გამოცდილება, სასწავლო თემატიკის მიმართულებით. არსებული ბალანსი აფილირებულ და არააფილირებულ პერსონალს შორის **არამყარია,** რადგანაც **დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონენი** პროგრამაზე წარმოდგენილნი არიან **არააფილირებული** პერსონალის სახით და ამავდროულად, ეს უკანასკნელნი, იკავებენ პროფესორის აკადემიურ პოზიციას, როდესაც აფილირებული პერსონალი გვხვდება ასისტენტ ან ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამის ძირითადი რესურსის ავტობიოგრაფიათა ნაწილში **არ არის წარმოდგენილი** სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დამადასტურებელი ინფორმაცია (გამოქვეყნებები და ა.შ), ასევე რიგ ავტორთა გამოქვეყნებები **არ არის შესაბამისი წესით მითითებული** (გამომცემლობა, ჟურნალი და ა.შ) ან ბოლო პუბლიკაციიდან გასულია **დიდი დროითი ინტერვალი**. რაც შესაბამისად **გამოწვევას წარმოადგენს** პროგრამის მდგრადობისა და სამომავლო განვითარების პერსპექტივისათვის. ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ ***საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან*** და ასახულია უნივერსიტეტის შინაგანაწესში, აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის წესსა და ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მოწვეული სპეციალისტისა არჩევის წესში, რომელიც სრულ შესაბამისობაშია განათლების სფეროს ***მოქმედ კანონმდებლობასთან,*** ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/ მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება და მათი აკადემიური ხარისხები ფსიქოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე **ნაწილობრივ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან.** უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის **„ლაბორატორია Z-ის“** აქტივობებში აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტად ჩართვა გაზრდის პროგრამის კვლევით პოტენციალს და დადებითად აისახება პროგრამის მდგრადობაზე; აკადემიური/მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია, სტუდენტების კონსულტირების, პრაქტიკისა და კვლევითი აქტიობის მართვის და პროგრამის განვითარების პროცესებში. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს სასწავლო პროცესში მონაწილეობის მრავალწლიანი გამოცდილება, იგი არის ჩართული პროგრამის ფორმირებაში, განვითარებაში, დახვეწასა და განხორციელებაში ამასთანავე უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული კვლევითი ცენტრის

განვითარებასა და არსებული რესურსის უშუალოდ პროგრამაში ჩართვის კუთხით. ამასთანავე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების მომსახურებას საჭირო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● თვითშეფასების ანგარიში; ● აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ● აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები; ● სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მომსახურე პერსონალთან გასაუბრება; ● ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუები; ● ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
რეკომენდაციები: ● რეკომენდებულია, ფსიქოლოგიისათვის საჭირო ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი დისციპლინებს(ფსიქოლოგიის საფუძვლები, განვითარების ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია და ა.შ) სრულად კურირებდეს (ან ნაწილობრივ სალექციო-სასემინარო საათების დაყოფის გზით) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პერები; ● რეკომენდირებულია, რომ პროგრამის აკადემიურ/აფილირებული პერსონალი წარმოდგენილი იყოს სავალდებული კურსების მართვის პროცესში; ● რეკომედებულია პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს მეტად დასაბუთებადი, კვლევითი გამოცდილება და პუბლიკაციები როგორც ადგილობრივ ისე უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში. ● რეკომენდებულია, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ***ჩაერთოს*** უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის **„ლაბორატორია Z-ის“** აქტიობებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ❖ სასურველია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აფილირებული პერსონალის პუბლიკაციების რაოდენობისა და ხარისხის ზრდას, იმ დროს როდესაც სასწავლო დაწესებულების ბაზაზე არის კვლევითი აქტიობის განხორციელების კარგი საშუალება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☒ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებას შემუშავებული და დეტალურად აქვს გაწერილი პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და მიღებული შედეგების ანალიზის პროცედურები, კრიტერიუმები, განვითარების პროგრამის დაგეგმვის სტრატეგია და პერსონალის დაწინაურება-წახალისების მექანიზმები და ფორმები. რაც შეეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებას, ამ მიზნით სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიული და/ან სწავლების უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს, როგორიცაა: ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით გამართული ტრენინგები, ნაწილობრივი დაფინანსება სამუშაო მივლინებებისათვის, ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში ჩართვა. ასევე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისათვის **ფაკულტეტის ბიუჯეტში** გათვალისწინებულია გარკვეული დაფინანსება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება; ● ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუები; ● პერსონალის სამეც.აკდემ.საქმ. შეფასების წესი; ● პერსონალის განვითარებისათვის აქტიობები;
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების მატერიალური რესურსები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს გააჩნიათ შესაბამისი აღჭურვილობები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია აკადემიური პროცესის სრულყოფილად წარმართვა. უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა მოსახერხებელია როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვისაც. უნივერსიტეტის ვებგვერდი საშუალებას იძლევა, სტუდენტი გაეცნოს ნებისმიერ სილაბუსს, შეამოწმოს თავისი აკადემიური მოსწრება, ნახოს დავალებები და აკონტროლოს გადახდების სისტემა, საგნებზე რეგისტრაცია, ცხრილების ონლაინ გენერირება და ჩვენება, ჰქონდეს ელექტრონული რესურსები. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მატერიალურად უზრუნველყოფილი და კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, სადაც უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შეუძლიათ კომპიუტერული მომსახურებითაც ისარგებლონ და ბეჭდვის მომსახურებითაც. ბიბლიოთეკაში არსებობს როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი „ლაბორატორია Z", არსებული კი საშუალებას მისცემს სტუდენტებს, დახვეწონ კვლევითი უნარ-ჩვევები და ამასთამავე ჩაერთონ, აკადემიური პერსონალის მიერ დაგეგმილ აქტიობებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის ადმინისტრატორთან გასაუბრება;

- სტუდენტებთან ინტერვიუები;
- უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება - შემოწმება
- დოკუმენტაცია სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- სასწავლო დაწესებულების ბაზაზე ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია(**ლაბორატორია Z**), რაც თავის მხრივ საშუალებას იძლევა, რომ სტუდენტებმა დახვეწონ სხვადასხვა ტიპის კვლევებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები;

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტში ფინანსურ დოკუმენტებში გაწერილი პუნქტები ადეკვატურია თუმცა აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტს არ აქვს უშუალოდ პროგრამისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი, შესაბამისად **არ არის** წარმოდგენილი თუ **რა ტიპის აქტიობებს** აფინანსებს უნივერსიტეტი პროგრამაზე და რა არის ამ **დაფინანსების ოდენობა.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;

• აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება; • სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების წესი; • სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი; • იურიდიულ და სოცალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი;
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია წარმოდგენილი იყოს პროგრამის ბიუჯეტი, დეტალური ხარჯების აღწერით
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია,ფსიქოლოგიის მიმართულების ბიუჯეტი გაწერილი იქნას დამოუკიდებლად, სამეცნიერო ხარჯების მეტად დეტალიზებული აღწერა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთა

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 **შიდა ხარისხის შეფასება**
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს-აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ინსტიტუციური განვითარების პროცესები მთლიანად ექცევა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირების ფარგლებში. მისი საქმიანობა მრავალგანზომილებიანია. ის მოიცავსშემდეგ სფეროებს ხარისხის შიდა და გარე შეფასება, ასევე მონიტორნიგი და მონიტორინგის შედეგების პერიოდული შეფასება. სამსახურის საქმიანობა ცალსახად ემყარება ეროვნულ (ავტორიზაციისა და აკრედიტაციის) და საერთაშორისო (Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area) სტანდარტებს. ის თანმიმდევრულად იზიარებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმებს და შესაბამისად, სისტემურად იყენებს პროცესების ადმინისტრირების ციკლს ე.წ. PDCA (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე). უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ზრუნავს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ხელმისაწვდომი გახადოს აკრედიტაციის საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტებით გათვალისწინებული სიახლეები და განათლების სისტემის წინაშე არსებული უახლესი გამოწვევები. ამრიგად, ხარისხის სამსახურის მიერ დაგეგმილი ფაქტობრივად ყოველი აქტივობა გულისმობს არა ცალკეული პირების საქმიანობის გააქტიურებას, ხარისხის ინტიტუციური კულტურა კოლექტიური ცნებაა და თავის მხრივ მოიაზრებს: პროცესების განსახორციელებლად შემუშავებული და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომია კონკრეტული რეგულაციები, პროცედურებისა და პროცესების აღმწერი სახელმძღვანელო დოკუმენტები, როგორიცაა, - უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი (რომელსაც თან ერთვის უნივერსიტეტის პროგრამის განორციელების შიდა თვითშეფასების ანგარიშის ფორმა); - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევი; - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; - საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიური მხარდაჭერითა და თანამშრომლობით წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ***ფსიქოლოგია***, აგებულია

უნივერსიტეტის მისიისა და ღირებულებების, დარგის სპეციფიკის, საზოგადოების მოთხოვნებისა და უახლესი გამოწვევების გათვალისწინებით, რომელთა რეფლექსია საგანამანათლებლო პროგრამაში შედეგია საგანმანათლებლო პროგრამების და მათი განხორციელებით დაინტერესებულ მხარეთა მხარდაჭერის მიზნით ფორმირებული მარეგულირებელი წესებითა და ხარისხის უზრუნველყოფის სხვა ნორმატიული დოკუმენტებით.

წინამდებარე დოკუმენტების გაცნობის, ინტერვიუებისა და უსდ-ს მხრიდან გაკეთებული კომენტარების შედეგად ჩანს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სამოქმედო მექანიზმები გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას აკადემიური პროცესების გაუმჯობესების მიზნით. უნივესიტეტს შემუშავებული აქვს დაინტერესებულ პირთა კვლევის კითხვარები.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სამფაზიანი პროცედურა, რომელიც გულისხმობს ა) საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირებას, ბ) შემუშავებას და დამტკიცებას და გ) აკრედიტაციას. წინამდებარე პროცედურებს დაექვემდებარა ასევე წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამა. ინტერვიუებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს მომზადების ცალკეულ ფაზებსა და ეპიზოდებს, რაც ნიშნავს, რომ ისინი ჩართული იყვნენ ამ პროცესებში.

პროგრამის შემუშავება მართებულად დაიგეგმა, რაც საწყის ეტაპზე დასაქმების ბაზარის კვლევითა (მომზადდა 2020 წ.) და მისი სპეციფიკის შესწავლით დაიწყო. მნიშვნელოვანია, რომ ბაზრის კვლევის წარმოდგენილი დოკუმენტი მომზადებულია აკადემიურად და არსებითი თემების დაცვით. კვლევის მნიშვნელოვან სეგმენტად უნდა ჩაითვალოს მეთოდოლოგიის (სამაგიდო კვლევა (შესწავლილ იქნა 2011-2020 წწ მასალები), რაოდენობრივი კვლევა ელექტრონული გამოკითხვის საშუალები, ვაკანსიის საიტების შესწავლა ბოლო ერთი წლის მანძლზე) განსაზღვრა და პარალელურად კვლევის სირთულეებზე მსჯელობა. ამ უკანასკნელში კვლევის განმახორციელებლები გულისხმობენ: *„კვლევების (სამაგიდო - ექსპერტი)უმეტესობა ფოკუსირებულია უფრო სამუშაო პოზიციის გამოვლენაზე, და არაპროფესიების იდენტიფიცირებაზე. იქ სადაც არის პროფესიების შესახებ ინფორმაციაწარმოდგენილი, გამოყენებულია საერთაშორისო კლასიფიკატორი, რაც ართულებსკონკრეტული პროფესიის მონაცემის გამოყოფას გაერთიანებული მონაცემებიდან.[...] შერჩევის (რაოდონეობრივი კვლევების პროცესში - ექსპერტი) თავისებურებიდანგამომდინარე, შეუძლებელია მოვახდინოთ მონაცემების განზოგადებასაქართველოში არსებულ ყველა დამსაქმებელზე [...]* ინფორმაციას (ვაკანსიების კვლევა - *ექსპერტი*) ვიღებთ იმ დამსაქმებელთა შესახებ, რომლებიც იყენებენ ვაკანსიების საიტისმომსახურებას დაკ ვლევის მიღმა გვრჩება ის დამსაქმებლები, რომლებიც კადრებისმოძიებისთვის არ იყენებენ ამ საშუალებას“ (გვ.3). ანალიზის შედეგებში აღნიშნულია, რომ ბაზარზე ამ ეტაპზე დარგი და მკვლევრის მიერ დაკლასიფიცირებული პოზიციები მოთხოვნადია. კვლევა არის დეტალიზებული, თემატურად ბმული და ვიზუალურადაც

შევსებული ყველა იმ მასალით, რაზეც მსჯელობაა ტექსტის დესკრიფციულ და არგუმენტირებულ ნაწილში. მკლევარი ასევე იძლევა განმარტებას ფსიქოლოგის ცალკეული დასაქმების პოზიციის თაობაზე, აღწერს მის ფუნქციასა და მოვალეობებს. მსგავსი სკურპულოზური ანალიზის შედეგად, აკადემიურ პერსონალს საშუალება მიეცა კონცეპტუალურად ეფიქრა პროგრამის შინაარსზე. პროცესების შეფასება უნივერსიტეტში ხდება მოქმედი მექანიზმებისა და ინსტრუმენტების საშუალებით, რაც სრულყოფილად ამოქმედდება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტების შემდგომ, რათა კიდევ უფრო დეტალურად ჩამოყალიბდეს საგანმანათლებლო პროგრამის პოზიცია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალია და ჯერ არ განხორციელებულა, რამაც განაპირობა პროგრამის განხორციელების პროცესის უნივერსიტეტში დადგენილი მექანიზმებისა და ინსტრუმენტების არასრულად ჩართულობით შეფასება. შესაბამისად, თვითშეფასების დოკუმენტის გასაუმჯობესებელ მხარეებში წარმოდგენილისაკითხები, ის თემებია, რომელთა დამუშავება და შესწავლა უშუალოდ პროგრამისგანხორციელებას უკავშირდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შრომის ბაზრის კვლევის შედეგების ანალიზი; ○ საგანმანალებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი; ○ კითხვარები დაინტერესებულ პირთათვის; ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტების შემდგომ პროგრამის განმახორციელებლებმა შეადარონ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული საგანმანათლებლო პროგრამები და უცხოური ანალოგები საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში საკუთარი პროგრამით პოზიციონირების მიზნით;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების თანახმად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს შეფასების გარე მექანიზმებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სახით, ხოლო რეგულაციების სახით ხელმღვანელობს ავტრიზაციისა და აკრედიტაციის დებულებით.

უნივერსიტეტი (რე)აკრედიტების მიზნით მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და შესაბამის პორტფოლიოს დადგენილი წესებითა და პროცედურების დაცვით წარადგენს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. გარე შეფასების შედეგად საგანმანათლებლო პროგრამისადმი წარდგენილ რჩევებსა და რეკომენდაციებს სწავლობს და განიხილავს პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტი, შეიმუშავებს რედაქტირების კონცეფციას და განხილვის პროცესში შეჯერებულ ახალ მიდგომებს ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

უნივერსიტეტი გარე შეფასების მიზნით პერიოდულად საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას უკვეთავს შესაბამისი დარგის ქართველ და/ან უცხოელ ექსპერტებს. შეფასების შედეგებს ეცნობა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლი პერსონალი, რომელიც დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით გეგმავს რეკომენდაციების დანერგვას პროგრამის ფარგლებში. გარე შეფასებამოცემული პროგრამისათვის ვერ მომზადდა, გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ახალია.

გარე შეფასების აქტივობების ფარგლებში დადასტურდა დამსაქმებელთა დაინტერესებული პოზიცია აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამისადმი. სასურველია თუ კი პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ კიდევ უფრო გააქტიურდება კომუნიკაცია დამსაქმებელებთან პროგრამის განვითარების პროცესებში, ვინაიდან კურსდათავრებულთა დასაქმება უწინარესად უნდა მოხდეს ქართულ შრომით ბაზარზე.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ახალია, როგორც არაერთგზის აღინიშნა, წარმოდგენილი არ იყოს კვლევების სრული სურათი, რაც, როგორც ინტერვიუებიდან ჩანს, სრულ ფორმატში

წარიმართება საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედებისთანავე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებ; ● შრომის ბაზარის კვლევის შედეგების ანალიზი; ● ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია თუ კი პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ კიდევ უფრო გააქტიურდება კომუნიკაცია დამსაქმებელებთან პროგრამის განვითარების პროცესებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს-აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შესაბამისი სქემები. ამ ეტაპზე, წინამდებარე პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში შეფასება ვერ მოხდებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არის ახალი, რაც შეეხება პროგრამის პირველად შეფასებას, ის განხორციელდა თვითშეფასების ჯგუფის სამუშაო ფორმატში, როელშიც მონაწილეობას იღებდა დაინტერესებული მხარეები (პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, შესაბამისი საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ადმინისტრაციული პერსონალი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური_იხ.დეტალურად გვ.8 თვითშეფასების ანგარიში, სადაც

დეტალურადაა გაწერილი მონაწილე პირების ფუნქციები და მოვალეობები). წინამდებარე პროცესში მაქსიმალური სიზუსტით მოხდა მონაცემთა შეგროვება და დამუშავება აქტიური მოცემულობის ფარგლებში, რაც საფუძვლად დაედო შემდგომში საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო ფორმირების პროცესს.

საგანმანათლებლო პროგრამა პერიოდულად შეფასდება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მეშვეობით. უნივერსიტეტში შიდა ხარისხის სტანდარტის მიხედვით პროგრამები პერიოდულად გადიან მონიტორინგს, რომლის შედეგები ემსახურება ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას, შესაბამისად, ხარისხის კულტურის მუდმივად ამაღლებას ინსტიტუციის ფარგლებში.

წინამდებარე შეფასებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განსაზღვრული აქვს კონკრეტული მეთოდოლოგია და შესაბამისი მექნიზმები, რაც საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისას გამოიყენება:

- დარგის სიახლეების მიმოხილვა და ანალიზი;
- სტუდენტების დარგობრივი ცოდნითა და უნარებით დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა;
- სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
- სტუდენტების კმაყოფილების ყოველსემესტრული კვლევა;
- დარგის სწავლების მეთოდებში დანერგილი სიახლეების ანალიზი;
- დამსაქმებელთა საჭიროებების ანალიზი; კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო პროგრამით კმაყოფილების კვლევა;
- პროგრამასთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი.

წინამდებარე შეფასების მეთოდოლოგიას აქვს გაწერილი პროცედურული ნაწილი, რომელიც მოიცავს ოთხ ეტაპს (მათ შორის პირველი: მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავება; მეორე: საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების, აღმომფხვრელი სტრატეგიების განსაზღვრა და პროცესების დაგეგმვა; მესამე: დაგეგმილი სამუშაოების შესახებ ანგარიშგება საუნივერსიტეტო საზოგადოების წინაშე; მეოთხე: პროგრამის განმახორციელებელი პირთა მიერ ცვლილებების განხორციელება.)

ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით განხორციელდება ახალი საგანმანათლებლო პროგრამისთვისაც. განმეორებითი შეფასებები საშუალებას მისცეს პროგრამის განმახორცილებლებს შეაფასონ გამოყენებული მექანიზმები, დახვეწონ და გააუმჯობესონ ისინი. საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული შეფასება მიზნად ისახავს პროგრამის მდგრადობაზე დაკვირვებას. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ მონიტორინგის მექანიზმები სრულყოფილად ამოქმედდება წინამდებარე პროგრამისთვისაც, მასზე დაკვირვებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ● ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **[redacted]შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
ეკატერინე ფირცხალავა



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
ლაშა ხოჯანაშვილი

ნინო ქიმერიძე

თეკლე ჩხეიძე